ადრესატი:

კობა ლურსმანაშვილი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წერილის ნომერი:**05-68250357**
თარიღი: **04/02/2025**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. მოგახსენებთ, რომ მიდინარე წლის 15 იანვარს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში საკრებულოს N1 დადგენილებით განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შემდეგ, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით რამდენჯერმე განხორციელდა საბიუჯეტო ცვლილება, მათ შორის მოხდა 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების გაზრდაც, რომლის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობა საკრებულოს. მათ შორის: საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის N 146 განკარგულებით გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გაიზარდა 1 106 760 ლარით;

ასევე, 2025 წლის 15 იანვარს სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მომართვის თანახმად საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის N 474 დადგენილებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის მიზნობრივი ტრანსფერის ზღვრული ოდენობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გაიზარდა 12 600 ლარით;

2. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N 186 განკარგულებით სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 120 000 ლარი (დან. N1)

3. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის N 53 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში გამოეყო 890 000 ლარი. (დან. N2)

4. მუნიციპალიტეტების ა(ა)იპ-ების მიერ წარმოდგენილი მომართვებისა და მერიის გადაწყვეტილების შესაბამისად შრომის ანაზღაურების 125 ლარიანი მატების გამო დამატებით ესაჭიროებათ 965 675 ლარი, რომლის შესავსებად გამოყენებული იქნას 2025 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი.(დან. N3) 125 ლარიანი მატება ძალაში შევა 2025 წლის პირველი თებერვლიდან.

5. მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის 2025 წლის 24/01 N 03-682 5002 420 მომართვის თანახმად,(დან. N4) მერიის შენობის პირველ სართულზე კანცელარიის კაბინეტის მოსაწყობად საჭიროა 52 177 ლარი, აღნიშნულის შესავსებად ასევე გამოყენებული იქნას 2025 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 25 886 372 იზრდება 3 129

360 ლარით, მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე 2 010 000 ლარით; მიზნობრივი ტრანსფერით 1 119 360 ლარით და განისაზღვრება 29 015 732 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 28 275 720 ლარი იზრდება 4 147 212 ლარით, მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე 2 010 000 ლარით; მიზნობრივი ტრანსფერით 1 119 360 ლარით; მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან 1 017 852 ლარით და განისაზღვრება 32 422 932 ლარით.

ნინო მაღლაკელიძე

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-საფინანსო სახაზინო განყოფილება-განყოფილების უფროსი